ხეოფსის პირამიდა

თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედია ვიკიპედიიდან

ხეოფსის პირამიდა



მდებარეობა ეგვიპტეში

ხეოფსის (ხუფუს) პირამიდა, იგივე **გიზას დიდი პირამიდა** — შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი და ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ნაგებობა, ყველაზე დიდი პირამიდა. მისი მშენებლობა ჩვენ წელთაღრიცხვამდე 26-ე საუკუნეში დაიწყო. პირამიდის სიმაღლე 147 მეტრი იყო, მაგრამ დღესდღეობით ის 136 მეტრია. მისი თითოეული გვერდის სიგრძე 233 მეტრია. 1 კილომეტრის გავლა სჭირდება იმას რომ შემოუარო ამ პირამიდას.

ამ პირამიდის მშენებლობისას ეგვიპტელებმა საოცარი არქიტექტურული ცოდნა გამოიყენეს, ეს კი იმაში გამოიკვეთება, რომ მასში გამოყენებული ლოდები იდეალურად ჯდება ერთმანეთში. მასზე დაახლოებით 2 300 000 ლოდი დაიხარჯა. მისმა მშენებლობამ 20 წელიწადს გასტანა და მასში ჩართული იყო დაახლოებით 100 ათასი მუშა.[1] ხეოფსის პირამიდა ერთადერთია იმ შვიდი საოცრებიდან, რომელიც შემორჩა. ის დღესაც ითვლება არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშად. პირამიდაში შესასვლელი განთავსდა 15 მეტრის სიმაღლეზე საიდანაც ჩადიოდნენ მიწის ქვეშ უცნობი დანიშნულების კამერაში. შესასვლელიდან 9 მეტრში გზა იყოფოდა აქედან ერთი უცნობი დანიშნულების იყო ხოლო მეორე ადიოდა ზევით სამეფო კამერაში. დერეფნის შუა ნაწილიდან ჭერის სიმაღლე იზრდებოდა 8 მეტრამდე, შედეგად აქ წარმოიქმნა ცრუ თაღი ეს იყო დიდი გალერეა.

დიდი გალერეის დასაწყისში გალერეა იტოტებოდა და ეს გზა მიემართებოდა დედოფლის კამერაში. გალერეის ბოლოში, სამეფო კამერაში ხემიუნმა გამოიყენა საინჟირნო მიდგომა, რომელმაც გადაარჩინა სამეფო კამერა ჩამონგრევას, კერძოდ კამერის თავზე განათავსა ხუთი ჰორიზონტალური ქვის ბლოკი, მათ შორის დატოვა სიცარიელე და ბოლოს გადახურა ორ ქანობიანი გადახურვით. ზემოდან წამოსული სიმძიმე გადანაწილდა გვერდებზე.

პირამიდის ახლოს აღმოაჩინეს მზიური ნავი. აღსანიშნავია რომ პირამიდის შიგნით არსებობს სავენტილაციო შახტები . ერთ-ერთი მიმართულია ორიონის თანავარსკვლავედისაკენ.

კოლოსეუმი ან **კოლისეუმი** (ლათ. colosseum), ***ფლავიუსების ამფითეატრი*** (ლათ. Amphitheatrum Flavium) — გიგანტური ამფითეატრი, ძველი რომის არქიტექტურული ძეგლი (ახ. წ. 75 - 80), გეგმით ელიფსური შენობის (სიგრძე 190 მ, სიგანე 156 მ) შუაში მოთავსებული არენის ირგვლივ 4 იარუსად, საფეხურისებრ, განლაგებულია მაყურებელთა ადგილები (დაახლოებით 45-დან 50 ათასამდე). ძირითადად ეთმობოდა გლადიატორების ბრძოლის სანახაობებს. კოლოსეუმი მდებარეობდა რომაული ფორუმის მარჯვნივ და მისი მშენებლობა დაიწყო 70-სა - 72 წელს იმპერატორ ვესპასიანეს ზეობის დროს. კოლოსეუმის მშენებლობა დასრულდა იმპერატორი ტიტუსის დროს და შემდგომი ცვლილებები შეტანილი იქნა იმპერატორი დომიციანეს ზეობისას. კოლოსეუმი რამდენიმეჯერ დააზიანა მიწისძვრამ, თუმცა დღეს იგი რომის სიმბოლოს წარმოადგენს.

რესურსები ინტერნეტში



არტემიდას ტაძარი (ბერძნ. *Artemision*, ლათ. *Artemisium*), ასევე **ეფესოს ტაძარი**, **დიანას ტაძარი** — მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი, ბერძნული ქალღმერთი

არტემიდასადმი მიძღვნილი ტაძარი ეფესოში; აგებულია დაახ. ძვ. წ. 550 წელს სპარსეთის იმპერიის აქამენიდთა დინასტიის მმართველობის პერიოდში. ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა.

თავდაპირველი ტაძრისგან დღემდე არაფერი შემორჩენილა. იგი მშენებლობის დამთავრებიდან მალევე განზრახ გადაწვა ჰეროსტრატოსმა, მას ასეთი სრულყოფილების განადგურებით თავისი სახელის უკვდავყოფა სურდა. ის დაიჭირეს და სასტიკი წამების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. ამ ამბის მოყოლა ან მისი სახელის ხსენება ეკრძალებოდა ყველას, მათ შორის ყველა სახის მემატიანეს. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, მისი სახელის ხსენება სიკვდილით ისჯებოდა. მაგრამ როგორც ჩანს ჰეროსტრატემ მიზანს მიაღწია, ყოველ შემთხვევაში თავისი ქმედების შემდგომი 25-26 საუკუნის განმავლობაში მაინც.



აბუ-სიმბალი, ასევე *აბუ-სიმბელი* (არაბ. أبو سنبل ან أبو سمبل) — ორი კლდეში ნაკვეთი ძველეგვიპტური ტაძარი ნასერის ტბის დასავლეთ ნაპირზე, მდინარე ნილოსის მარცხენა სანაპიროზე. მდებარეობს ისტორიული ნუბიის ეგვიპტურ ნაწილში, ამავე სახელწოდების მცირე დასახლებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. აგებულია ძვ. წ. XIII საუკუნეში, ძველი ეგვიპტის ახალი სამეფოს ფარაონის, XIX დინასტიის წარმომადგენლის, რამზეს II-ის მიერ.

აბუ-სიმბალის კლდეში ნაკვეთი დიდი ტაძარი აგებულია თავად რამზეს II-ის განდიდებისათვის, ხოლო მეორე, შედარებით მცირე ჰატჰორის ტაძარი ეგვიპტის დიდი დედოფლის — ნეფერტარის მოსაგონრად აიგო. ორივე ტაძარი 1979 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია მოხვედრილი. რამზესისა და ჰატჰორის ეს ორი

ტაძარი დღეს აღარ მდებარეობენ იქ, სადაც თავდაპირველად გამოკვეთეს კლდეში. 1968 წელს ასუანის კაშხალის მშენებლობასთან დაკავშირებით აბუ-სიმბალის ტერიტორია წყლით დაიფარა, მანამდე კი, 1963 წლიდან ძეგლთა გადასარჩენად აქტიური სამუშაოები მიმდინარეობდა, ტაძრები ნაწილებად დახერხეს, იმავე მიდამოებში 64 მეტრით მაღლა გადაიტანეს და ხელახლა ააშენეს. აბუ-სიმბალის ეს შემაღლებული ადგილი ტაძრებითურთ დღეს ნასერის ტბაში კუნძულს ქმნის, რომელიც ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან დასახლებულ პუნქტს (აბუ-სიმბალი) დამბებით უკავშირდება; დამბაზე გაყვანილია სპეციალური გზა მიმოსვლისათვის.

სახელწოდება „აბუ-სიმბალი“ (ან „აბუ-სიმბელი“) არის ევროპული ვარიანტი არაბული დასახელებისა „აბუ სუნბულ“, რომელიც ამ ადგილის ანტიკური სახელიდან, „იპსამბულიდან“ მომდინარეობს[2]. ძველი ეგვიპტის ახალი სამეფოს პერიოდში, როდესაც ტაძრები აიგო, სავარაუდოდ ამ ადგილს *მეჰა* ეწოდებოდა. აბუ-სიმბალიდან დაახლოებით 20 კილომეტრით სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა პატარა სოფელი *იბშეკი*[3], რომელშიც იდგა პატარა ტაძარი, ჰატჰორის სახელზე აგებული (აბუ-სიმბალის მცირე ტაძარიც ჰატჰორისაა). ეს ტერიტორია, რომელიც თანამედროვე სუდანის საზღვრებშია მოქცეული, თავდაპირველად კი ნილოსის მეორე ჭორომის ჩრდილოეთით მდებარეობდა, დღეს ნუბიის ტბით არის დაფარული.

სექციების სია





იაპონიაში არის ხის ტაძარი, ტოჯაიდი, რომელიც 57 მეტრი სიგრძის, 50 მეტრი სიგანის და 47 მეტრი სიმაღლისაა, თუმცა ადრე ის უფრო დიდიც იყო.


თითქმის 1500 წლის განმავლობაში ტოდაიჯი უზარმაზარი ბრინჯაოს ქანდაკების- 130 ტონა ბრინჯაოსა და 130 კილოგრამი ოქროსგან გაკეთებული უზარმაზარი ბუდას ადგილსამყოფელი იყო.

ტოდაიჯის ბუდას ქანდაკება კონფლიქტის მერე მშვიდობის მომტანად ითვლება. მისი ყოველი თითი დაახლოებით ერთი მეტრის სიგრძისაა...



თაჯ-მაჰალი (ჰინ. ताज महल, ურდუ/სპარს. تاج محل; „სასახლე-გვირგვინი“) — მარმარილოს მავზოლეუმი ინდოეთის ქალაქ აგრაში. აგებული 1631-1653 წლებში დაახლოებით 20.000 მუშის მიერ. მოგოლთა იმპერატორი შაჰ-ჯაჰანის შეკვეთით, თაჯ-მაჰალი უნდა გამხდარიყო მისი საყვარელი მეულლის, არჯუმან ბანო ბეგუმის (ცნობილი როგორც მუმთაზ მაჰალი), მავზოლეუმი.

თაჯ-მაჰალი მოგოლთა მმართველობის პერიოდის არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშად ითვლება, ამ სტილში გაერთიანებულია ინდური, სპარსული და თურქული არქიტექტურის ელემენტები. მისი მთავარი არქიტექტორი იტალიიდან მოწვეული ჯერონიმო ვერონიო იყო. თაჯ-მაჰალის ყველაზე ნაცნობი ელემენტია თეთრგუმბათიანი მარმარილოს მავზოლეუმი, თუმცა ეს ინტეგრირებულ სტრუქტურათა კომპლესის მხოლოდ ერთი ნაწილია.



აია-სოფია (ასევე **ჰაგია-სოფია**, ამჟამად **აია-სოფიას მუზეუმი**) — ყოფილი ბიზანტიური მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც მოგვიანებით მეჩეთად გადაკეთდა ოსმანთა მიერ, ამჟამად კი მუზეუმია ქალაქ სტამბოლში, თურქეთი. მას უნივერსალურად მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდებულ შენობად მიიჩნევენ და ხშირად მსოფლიოს მერვე საოცრებად მოიხსენიებენ. კონსტანტინოპოლის დაცემისას მისი ოსმანთა ხელში გადასვლა ბერძნული მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების მიერ უდიდეს ტრაგედიად არის მიჩნეული. ვიდრე კონსტანტინოპოლი დაეცემოდა იყო ერთ-ერთი უმთავრესი მართლმადიდებლური ტაძარი. სახელი **წმინდა სოფია** ბერძნულიდან ითარგმნება, როგორც **წმინდა სიბრძნე** და ეძღვნება წმინდა სამების მეორე იპოსტასს, განკაცებულ ღვთის სიტყვას (ბერძნ:Λόγος), უფალ იესო ქრისტეს, როგორც ღვთის წმინდა სიბრძნეს.

ტაძრის სახელი მომდინარეობს ბერძნულიდან - Αγία Σοφία. მისი ლათინური ექვივალენტია Sancta Sophia, ხოლო თურქული - Ayasofya.

2006 წელს აია-სოფიას მეჩეთში განახლდა მაჰმადიანური რელიგიური რიტუალების აღსრულება.



კრაისლერ ბილდინგი (Chrysler Building, **კრაისლერის შენობა**) — 319 მ (1048 ფუტი) სიმაღლის არტ-დეკოს სტილის ცათამბჯენი მდებარეობს ისტ-საიდ მანჰეტენზე 42-ე ქუჩისა და ლექსინგტონის ავენიუს გადაკვეთაზე. თავდაპირველად აგებულ იქნა კრაისლერის კორპორაციისთვის, თუმცა ამჟამად შენობა TMW Real Estate (75%) და Tishman Speyer Properties (25%) საკუთრებაშია. კრაისლერ ბილდინგი პირველი ნაგებობა იყო მსოფლიოში რომელმაც 1000 ფუტის სიმაღლეს გადააჭარბა. დასრულდა რა 1930 წელს, შენობა მყისვე გახდა ქალაქ ნიუ-იორკის სიმბოლო.

სექციების სია

- 1 ისტორია
- 2 არქიტექტურა
- 3 გალერეა
- 4 იხილეთ აგრეთვე
- 5 რესურსები

ისტორია

შენობის პროექტი ეკუთვნის უილიამ ვან ალენს, რომელიც უილიამ რეინოლდსის შეკვეთით შესრულდა. პროექტი შემდგომში უოლტერ კრაისლერმა შეიძინა საკუთარი კომპანიის შტაბ-ბინისთვის.

შენობის აგების პერიოდში ნიუ-იორკის მშენებლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მსოფლიოში უდიდესი ცათამბჯენის შექმნაში. კრაისლერ ბილდინგის მშენებლობა მიმდინარეობდა განუმეორებელი სისწრაფით - 4 სართული კვირაში - და მასზე არც ერთი მშენებელი-მუშა არ დაღუპულა. დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე შენობა სიმაღლით კრეიგ სევერანსის უოლ სტრიტზე მდებარე ცათამბჯენს გაუტოლდა; ამ ფაქტით აღშფოთებულმა ბატონმა სევერანსმა საკუთარ შენობას სასწრაფოდ დაამატა ორი ფუტი (60 სმ) სიმაღლეში, მსოფლიოს უმაღლესი შენობის ტიტულის მოსაპოვებლად (ეს ტერმინი გამორიცხავს ისეთ ნაგებობებს, როგორიცაა ეიფელის კოშკი).

თუმცა ბატონ ვან ალენს საიდუმლოდ უკვე ჰქონდა აღებული ნებართვა კრაისლერზე 125 ფუტი (38.1 მ) სიმაღლის ქიმის დასამონტაჟებლად, რომელსაც ასევე კონსპირაციულად ამავე შენობის შიგნით აწყობდნენ. ქიმი, რომელიც "ნიროსტას" უჟანგავი ლითონისა იყო, შენობის თავზე აღმართეს 1929 წლის 23 ოქტომბერს, რამაც კრაისლერ ბილდინგი არა მხოლოდ მსოფლიოს უმაღლესი შენობა, არამედ მსოფლიოს უმაღლესი ნაგებობა გახადა. ვან ალენი და კრაისლერი ამ ტიტულით მხოლოდ ერთი წელიღა ამაყობდნენ, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში დასრულდა მშენებლობა ემპაია სტეიტ ბილდინგზე. ამ ფაქტით განაწყენებულმა ბატონმა კრაისლერმა ვან ალენს გასამრჯელოს გადახდაზე უარი განუცხადა. კრაისლერ ბილდინგი საზოგადოებისთვის 1930 წლის 27 მაისს გაიხსნა.

